ნახ. გ. ფირცხალავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

68

№ 22 (1296) ნოემბერი 1968

ნიანგი

გამოცემის 45-ე წელი ფასი 20 კაპ.

— ერთი, კარგი მტევნები ამირჩიე, შვილო!
— მაშინ კილო 80 კაპიკი დაგიჯდება!
— არა ვჩივი, ოღონდ სწორად ამიწონე!
— მაშინ მანეთი უნდა გადაიხადო!
— წესიერად მელაპარაკე, უმაწვილო!
— მაშინ მანეთი და 20 კაპიკი უნდა მოგცე!

ნახ. მ. აბაშიძისა

გამოფენაზე

— საჩვენის წიგნი მოვიცი, არ ვიცი ამ თქვენი ფთაბეჭდილებანი!

ეროვნული ბიბლიოთეკა

„სპორტული ოჯახური"

სპორტის ყველა სახეობაში, განსაკუთრებით მძლეოსნობაში, ასაკს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ასე, მაგალითად, 60 წლის მოჭადრაკემ შეიძლება თავისუფლად დაამარცხოს 23 წლის მოწინააღმდეგე, ხოლო 60 წლის მორბენალი (თუმცა ასეთი სპორტის ისტორიას ჯერ არ ახსოვს) ვერაფრით ვერ დაამარცხებს 23 წლის პარტნიორს.

ჩვენ არ ვიცით, რა ფიზიკურ მონაცემებს ფლობდა ქ. ქუთაისში, ფალიაშვილის მეხუთე შესახვევის № 1-ში მცხოვრები გ უ გ უ ლ ი ს ა მ ს ო ნ ი ს ა ს უ ლ ი ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე (ასაკი დაახლოებით 60—65 წელი), როდესაც მან მარათონული რბენის სტარტი შესთავაზა ქუთაისის მილიციის სამმართველოს სოცსაკუთრების მტაცებლობისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი განყოფილების უფროსის მოადგილე ნ ო დ ა რ ი ნ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ს (ასაკი, აგრეთვე დაახლოებით, 38-39 წელი).

სტარტი ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან აიღეს. მანძილი სარეკორდო იყო: ქ უ თ ა ი ს ი-მ ო ს კ ო ვ ი.

გ. ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე მ, მიუხედავად მეორე ჯგუფის ინვალიდობისა, წარმატებით მიაღწია ფინიშამდე და პირველი საპრიზო ადგილი დაისაკუთრა. მოსკოვში პირველი ჩავიდა და ესტაფეტა ა ნ ზ ო რ გ ი ო რ გ ა ძ ე ს გადასცა, ანზორმა — გ ე ლ ა დ ე ი ს ა ძ ე ს და ა. შ.

გ უ გ უ ლ ი ჩ უ ბ ი ნ ი ძ ე მ, როგორც ბევრმა სპორტსმენმა, დაოსტატება მსუბუქი და საშუალო წონის სიმძიმეების აწევით დაიწყო. მსუბუქ სიმძიმედ უნდა ჩაითვალოს 95 მანეთად ღირებული ტორშერი, რომელიც ჩუბინიძემ ხელის ერთი ატაცით ასწია, მოსკოვიდან ქუთაისში ჩამოიტანა და მოქ. მ. გ ო ქ ა ძ ე ს 155 მანეთად მიჰყიდა. შემდეგ 830-მანეთიანი საწოლი აიტაცა, აჭიმვით ქუთაისამდე ატარა და აქ ს. ვ ა დ ა ჭ კ ო რ ი ა ს 1350 მანეთად მიჰყიდა. 1967 წელს ოსტატობის კანდიდატის ნორმატივამდე ავიდა: 2980-მანეთიანი „ჟილაია კომნატა" სხარტად წამოიკიდა და ქუთაისამდე ისე ატარა, წარბიც არ შეუხრია, აქ კი 4200 მანეთად „დაუთმო" ე. ა ს ა თ ი ა ნ ს. ამას მოჰყვა 3940 მანეთად ღირებული „დიდი ტიულპანი", რომელიც მოქ. გ. დ ა რ ს ა ვ ე ლ ი ძ ე ს 5700 მანეთად მიჰყიდა, ხოლო ასეთივე „ტიულპანი" მოქ. ე. წ უ ლ ე ი ს-კ ი რ ს 5500 მანეთად „დაუთმო".

ერთხელ, მორიგი რეისიდან დაბრუნებულ გუგულის მეზობლებისათვის უთქვამს: ნ. ინანეიშვილს ურჩევნია თავი გამანებოს, ჩემთან ჭიდილი ხეირს არ დააყრისო. ეს ამბავი ინანეიშვილს მიუტანეს და ისიც ფინალური შეხვედრისათვის გაემზადა.

სტარტის ადგილზე (ამჯერად ქუთაისის აეროდრომზე) ინანეიშვილი პირველი გამოცხადდა. ბოლოს გ. ჩუბინიძეც გამოჩნდა. ხელში სანოვაგით სავსე პატარა კალათა ეჭირა. ის იყო გაფრენის ნიშანიც მისცეს, რომ ნ. ინანეიშვილი ისარივით მოწყდა ადგილს, თვალის დახამხამებაში აირბინა მოქანავე კიბე და თითქმის უკვე დაძრულ ლაინერს ფრინველივით აეკრა. მფრინავმა ორიოდე წუთით შეაგვიანა რეისი, სამაგიეროდ ნ. ინანეიშვილმა არ დააყოვნა და დამარცხებული მოწინააღმდეგე მილიციის სამმართველოში მიიყვანა, ხილით სავსე კალათა ჩამოართვა და ხილის ქვეშ საგულდაგულოდ შეხვეული 6.658 მანეთი იხილა, გ. ჩუბინიძემ საბოლოოდ დაჰყარა ფარ-ხმალი.

ასე დასრულდა ეს უთანასწორო „სპორტული პაექრობა", რომელმაც ერთხელ კიდევ დაგვანახვა, რომ ცხოვრებაში არსებობს ჭეშმარიტება: არ უნდა იკისრო იმაზე მძიმე ტვირთის აწევა, რაც შენს ფიზიკურ წონას არ შეესაბამება.

შეგონება: ბოროტის გზა მოკლეა, ფინიშამდე სიკეთე მიაღწევს მხოლოდ.

ქ. დადეშქელიანი

— ბრალდებულო აზიზ,
დირექტორი ბრძანდებოდით ბაზის,
ეშხითა და გზნებით
ფულს იხვეჭდით იდუმალი გზებით.
თქვით სიმართლე სრული,
რა წყაროდან ამოგქონდათ ფული?

— ჩემი ფულის წყარო
იყო ჩემი ბუღალტერი მარო.
ფულს მაყრიდა გოგო,
არც კი ვიცი, საიდან და როგორ.
ეყის დაჰკარგავს ადგილს,
ვინც არ იცის დირექტორის ყადრი!

— ბრალდებულო მარო,
გაგვაცანით თქვენი ფულის წყაროც.

— საწყობი გვაქვს ზორბა
და იქ გამგედ მუშაობდა კობა.
გამჭრიახი კაცი
მე მიყოფდა შემოსავლის ნაწილს.
უბუღალტროდ გამგე
თავს რაიმეს აამებს და არგებს?!

— ბრალდებულო კობა,
სად იძენდით ფულებს ასე ბლომად?

— ექსპედიტორ ბათას
ფულით მუდამ სავსე ჰქონდა ჩანთა;
წესითა და რიგით
ნახევარი ჩემი იყო იგი.
უსაწყობოდ განა
ექსპედიტორს აქვს რაიმე ძალა?!

— ბრალდებულო ბათა,
აღიარეთ, ვინ გივსებდათ ჩანთას?
— გამყიდველი გახა
გამოცდილი დახლიდარი გახლავთ;
ფულს ქაფავდა რაკი,
ჩემი იყო ნახევარი „ბანკი“;
ივაჭრებდა განა,
საქონელი რომ არ მიმეტანა?

— ბრალდებულო გახა,
იმოდენას რას იძენდით დახლთან?
— რას ვიძენდი იმდენს?
ვატყუებდი დოყლაპია მყიდველს;
ცხრათუმნიან პალტოს
თვრამეტ თუმნად ვასაღებდი მარტო...
მაშ, რა მექნა, ძამა,
ამდენ „ხიზანს“ არ უნდოდა ჭამა?

მსგავსი ესტაფეტა
ერთადერთი იყოს ჩვენში, ნეტავ...

გავყვეთ ლექსის მიზანს
და ჩვენ მრავალ ნაძირალას ვამხელთ.
მკითხველებო, ფხიზლად,
ნუ მოვიხვეჭთ დოყლაპიას სახელს!

გაიოზ შავერზაშვილი

გაბროვოელთა სრიალი

(შეკრიბა სტეფანე ფორტუნოვმა)

გაბროვო ბულგარეთის ერთ-ერთი საკმაოდ ცნობილი ქალაქია, იგი განთქმულია ეთნოგრაფიული და არქიტექტურული ძეგლებით, მდებარეობს თავისუფლების მწვერვალის — შიპკის მახლობლად.

გაბროვოელების აზრით, ადამიანი, რომელსაც ზომიერების გრძნობა აქვს და ფულის ყადრი იცის, არასოდეს ომს არ დაიწყებს. ომი ხუმრობა არ არის და თანაც ძვირი ჯდება.

გაბროვოელები არასოდეს ყოფილან კოლუმბები და მაგელანები, რადგან აღმოჩენა არასაიმედო საქმეა. არა ჰყავთ მათ არც ედისონი და არც პითაგორა, რადგან მეცნიერული ცდები და დაკვირვებები არაა სარფიანი საქმე; არ არის გაბროვოში ვან-გოგი და პიკასო, რადგან ნოვატორობა მხოლოდ ავტორის სიკვდილის შემედგ ფასდება. გაბროვოელები იდეის ნოვატორები და აღმომჩენები არიან ეკონომიური მეცნიერების დარგში. მართალია, ისინი ათეისტები არიან, მაგრამ ეს მათ სულაც არ უშლით ხელს გაიზიარონ გამოცდილება იესო ქრისტესი, რომელმაც ორი თევზით ათასი კაცი დააპურა.

გაბროვო განთქმულია თავისი ქსოვილებით, მაგრამ მას არ ძალუძს შემოსოს მთელი პლანეტა... გაბროვოს ფეხსაცმელმა აღიარება ჰპოვა მთელ მსოფლიოში, მაგრამ მას ყველას ვერ ჩააცვამ... მხოლოდ გაბროვოელთა მახვილ სიტყვას შეუძლია გაამხიარულოს ჩვენი პლანეტის მოსახლეობა.

რადო რალინი

ვიწრო შარვლები და მოკლე კაბები, ასანთის კოლოფი, რომელსაც გოგირდი მხოლოდ ერთ მხარეს აქვს წასმული, კაპიკი და ელექტროენერგიის ეკონომიის რეჟიმი გამოიგონეს გაბროვოელებმა.

ამბობენ, რომ გაბროვოელები:

...ღამე საათს აჩერებენ, რათა ნაწილები არ გაუცვდეს.

...დილით ბაზარში პურის ნაჭერი მიაქვთ, გემოს უსინჯავენ ყველს, მწვანილს, კარაქს, მწნილს და ასე საუზმობენ.

...როდესაც ბაზარში რაიმეს ყიდულობენ, ნოჭარს თხოვენ, ნავაჭრი იმდღეანდელ გაზეთში გაუხვიოს.

...ღამე საქათმეში სინათლეს ანთებენ. ქათმებს ჰგონიათ, გათენდაო და კიდევ დებენ კვერცხებს.

გაბროვოელი (ოფიციანტს): მეგობარო, მაგიდის ქვეშ ათი კაპიკი ჩამივარდა. თუ იპოვნი, დამიბრუნე, თუ არა და შენი ფეშქაში იყოს!

გაბროვოელი სასტუმროში ღამის გასათევად შევიდა.

— რა ღირს თქვენთან ოთახი? — იკითხა მან.

— პირველ სართულზე ათი ლევი, მეორეზე — რვა, მესამეზე — ექვსი, მეოთხეზე — ოთხი!

გაბროვოელმა ჩემოდანს ხელი დაავლო და გასასვლელისაკენ გაემართა.

— როგორ? თქვენის აზრით, ფასები მაღალია?

— არა, სასტუმროა დაბალი!

— **ივანე,** ჩემი წერილი არ მიგიღია? — ჰკითხა გაბროვოელმა თავის მეგობარს.

— რომელი? ის ხომ არა, რომ მწერდი, ასი ლევი მასესხეო?

— ჰო!

— არა, ის წერილი არ მიმიღია!

კარგა ხნის წინათ გაბროვოში ავტობუსმა დაიწყო სიარული. ბილეთი 20 კაპიკი ღირდა, მაგრამ ხალხი მაინც ფეხით დადიოდა. ქალაქის ხელმძღვანელობა იძულებული იყო, ბილეთის ფასი გაენახევრებინა, რამაც მოსახლეობის აღშფოთება გამოიწვია. სპეციალური გაფიცვა და მიტინგიც კი მოაწყვეს. როდესაც მათ აღშფოთების მიზეზი ჰკითხეს, გაბროვოელებმა უპასუხეს:

— წინათ 20 კაპიკის ეკონომიას ვაკეთებდით, ახლა კი მხოლოდ ათისას ვაკეთებთო!

თარგმნა ვასო რცხილაძემ

ნახ. გ. ფირცხალავასი



— *გოგონა, გაფთა რატომ არ გიკეთია?*
— *გიჭი ვარ, მასწავლეგელო!*

ნახ. ზ. ზორახიანისა

— „კაცი ვარ და კუდი მხურავს, კუდს არ ვუხარ არა-ვინ...“

— ხომ გიხოვეთ, ეს სიმდერა არ იმღერო, დირექტორს არ უყვარს-მეთქი?!

— მეგობარო, ტრამვაი თბილისის ზღვაზე მიდის!

— ვიცი, მერე?

— კოდ, ეს კაცი, ზღვისაკენ ხალხი ასმანეთიან საგზურს ყიდულობს და შენ ხამაკიანიანი ბილეთიც არ გინდა?

ლოდავ, ეკვლიან ნოტარიუზ!

შვილო, ჩამოდი სოფელში, მაგ გაგაინა სიცხეში რას ზიხარ, ხალხული მიწერეულ უახლოეულება, როდის-ღა ამირეკ წამოსვლას. გაეიგე, შენი კოტტინი ქმარი ლატარიის ბილეთით მოგებული „ხამორიუკეთი“ ამირეს შენს წამოყენაა. ღმერთო არ გაგიწყოს. და მანკანაში არ ჩაუყვდ. ცუდ სიხმაცეს ვხედავ, ეშმაკი წყლის ფერია, მანკანა გზაში რომ გადამარეწდეს, ან ხეში გადაფეთს. ხომ დავიღუპეთ. შენ მატარებლით გამოვმგზავრე, კოტტი კი მანქანით გამოეშვი. ხო, მარილა, სულეოროზით თუ ზტეროზით დაავადებულ შენ უკეფლამით ქმარს ტრინე სოფელში გამომგზავრებისას, სიეოცხლე დაიზღვევეს, თორომ ხომ იეი ჩვენსკენ რა უკეფლამთან გზებია. ღღე ერთია და მარცხი ითსა. მე რომ წერილითაი ვერანონ, ჩვმს კეთილ რჩევას მაინე კი მიიღებს. შეიყარე კეფელ ცერეცი, მაგისგან რა ოჯახის კაცი დადგება მაგასაც ვნახავ. ქორწინების წინა ღამეს ხომ დავაონავ, სადილი არ მოამზადო, სარეცხი არ დარეცხო, ქმრის გაგზავრებაი ოყეფოს არ მოგიტანა, შარვლებს რომ უეფთოებ, ნიტა ვიეოცდე ვინ დადეფილაუს შრომამ. ქეფაზე მოდი, რით ვერ გაიგე, რომ ქეფაანა თვითმომსახეურებაზეა გადასეული. ვერ ხედავ ყველა ხელეჩოსაკენ თავიესენ ითლოს, თავში ქეა იხალოს და თავის თავს თვითონ მიხეფოს. ჭამეგორის ლუბისას თეკლუეური ადგეგე. ზესტად ჩაგაბარის ხელეფანი. კარგია, რომ იწერები არეული სპას გადავაჭეიეო, თამბაქოს წეკეს, პოკერის თამაშს, ქალეგბი წოწიალს და სახინკლეში ხტეიალსაც თუ გადაარჩევ კარგს იზამ. თავს მიხედე, დედიკო! არაფერი მოიკლო. ნინაზრის ფიში ხომ არა ხარ ამ ქეეკნად კიდე მოხეიდე. გაიხედ-გამოიხედე, თავლები გაიხიე, კარგი სეი და კარგი ქაშე. ჩაიცეი და დაიხეკე, მერის ეინაზე გაიარე და გამოიარე. შენი დაფეხეული დედამთილი, ღმერთო რა შეეეხნეფელი ქალია! გაუხმეს ხელეები, ეეტრეკულ რომ ვარეცხინენეს მაგ ბრილის თითებინი, არ იეის რომ ქალის ასპარტაკი ხელეეინა. შენი უქნარა, დებილი მელი მეტრა-მეტიდ გაგითამამეეინა. მარტო რიეეზე, პეტრეზე, ლამონაზე და ბოსტნეულეზე რომ გეგზავნენეინა, რატომ სარეცხსაც არ გირეცხავ,, სინნინი სად დაკარგეი, რით ვერ გაიგო, რომ რაალს ბატეფილეინა სეფილეინა. არც მამამთილი გეაკეი დიდი ბეფოგალოთი. დილეფან — საღამომდე, მოამზეალი არალინეეთ ქარეის ერთალოსანს რომ აკტიალეეს, ნიტა ვიეოოდე თავმოყვარეობა თუ გაარნინ? სალსალამთი კაეი რატომ უნდა იყოს პეზსიაზე. ჩამოეიდეკ სოფელში, ყანა გამოიხნონ, ვენახი დამიბარონ, მოსავლის ალეფა შეეეფუნეზე, მე თვითონ მოფეკლი როგორმე. მეგობალეეი შე საფეალოთ! როგორ ძალეს მაგ ჯიგეეზნი! შენი ბრალია! ეს დამაჯერე, ლუვანს რომ გაეოლოდი ცოლად, დღეს შაგე ეკოლეთონ ისარალეეზდი. აქამდე დისაკრიკეიალაც დაიკეფი და საზოგარგარეთსაც შემოიკლდი. დედოკო, არ გეწყინონ და ახლანდელი ქალეშვილები ტანგიკეეეი ხართ, ყველეს ლამაზი, ჭბარაზეეეინი, ტანაფი ქმრები ყინდათ რომ ეკაკედეთ, შანსიანებიც იყვნენ და კარგადაც გაეცხოვრონ. სილამაზე და ეკეეა ერთად სად გაგონილა. ხომ გახსოვს რა ბეეწეზე გადარჩი, ლამაზი გარეკვნობის ქარაფშუტა ბარდფაეს რომ ვაფაეედეე და ცოლად მიპყვებოდი. დღეს შენი ბენდეფი ადარ იქნებოდა. ჯერ ბავშვი ხარ, გამოეცდეთ, რა გვსმის, რა დროს შენი ბალანაა. შვილის ყოლას ყოველთვის მოესწრები. არ იმღერ შენსაც, გაგეკეფთბინა ის, რაც გერჩივ, კარგს იზამდი. ვინ იცის როგორ წარიმპარიგება ოქეეენი ოჯახის საქმე. იქნებ დაიკლეფეთ, ან დაქეხიედე კიდეკე, მეორეთო გათხოვება ბავშვინი ქალისაგენ იცოდე ანლეი ინეება. კარგად დფიქრდი, იქნებ ჭკუაში დაგიყდეს ჩემი შშობლიური რჩევა-დარიგება და დროზე მიხედო თავს. ეს წერილი ზაკოხეგისთანაეე დახიე. შენი ქმრის დინასტიის ხელში არ ჩაუვარდეს, თორომ ხომ იეი რა ქაჯებეკ არიან, ეთასნარ კუდს გამოაბამენ, იტყეკან თითქოს მე შენ პირად ცხოერებაში ვიქჯეკ. ეს, თქვენი ოჯახის სუფეერენტეტს ვარ ხელეეე. ინსანეკ იტყვიან? ეგ მამაკონეეეულშვილები, ვითომდაც ცუდ რჩევა-დარიგებას გაკლეკედე. შენს დედამთილს, მამამთილს, მელს და შენს დეფეტ ქმარს, თითქოს და ალგად ვიხსენებდე. გენოსიანი ამბობენ, შენენებულ ადამიანთან ჩხუბიე კი სასიამოვნოაო. მე ვიმნაზიადამთავრებულ ქალს რა მაკეს მაგათთან საჩხუბარი, ან რა ენდა ველაპარაკო მაგ დეგენერატებს, გამოგეგზავნ რაშეს თუ? ჯულს კი არ ესმის ჯანსაღი კრიტიკა!

თენგიზ I

— ვერ დაგაკლენ, გოჯის აღგილი აკტორეუსში არ არის!

— სუფრაზე ხომ დაგაკლენ, მოეე რომ მოეპარეთეა?!

— „ეროლა“ ეე კაკაიაკ! იყიდეთ, მოკალაკეთ!

— ფერი არ მეეფონს!

ს უ ვ ე ნ ი რ ი

დაზესტრეულაკეი სახელდებელი თათბირი გაიმართა.

— მამ ამე, ამხანაგებო, — თქვა დირექტორმა, — მე მეეინი, ყველაფერმა ნაგი ჩაიარა. ხვალ ჩვენი სტუმარი. თავის სამშობლოში ბრუნდება და...

— რომ ბრუნდება, ამლა არ უნდა გადაეეეეორთ ზეალეეი ამენი პატივისცემა...

— მართალია. ამიტომ პატარა ხუფენრები გავგაბანთ ყველ კეთილმოსაფხრიდან.

— ისეთი რამე უნდა შეეეენრეთო, რომ, როცა დაბრდეეს, გაახსენდეს ჩვენი ქეეყანა და... ჩვენ!

—ეუეცოდნელად. რაიმე ტიპეფრი...

— კარგი იქნება ფერადი ფოტოები, ბუკლეტები, პროსპექტები...

— ისეთი რამე უნდა შეეენრეთო, რომ, როცა დაბრდეეს, გაახსენდეს ჩვენი ქეეყანა და... ჩვენ!

— ეკეფელ კარაბეკის რამდენიმე ნიმუში, ჭიქეები, ფიალა, ხეფეური გოგონა...

— ეკეფლოობაე არ იქნება ეერეთ. ეეეერეფლელი ქამარ-ხანჯალი, ყანწი...

— ტკბილობაზე თუ მიდგა საქმე, არც ალიიოეე ბოთლი კონიაკი და ქინძმარაული აკეფანს!

— ეს ბატონი, ხუფენრი კი არა, ძეფენი გამოდის... — ეაიწერეულა ეიდეკამ.

— ...ბადრი ქუდი, მინიატურული ფანდური, სალამური და ღოლი კარკა.

— ახლახან გამოფიდა კარგი ეიფანი საკამეეელეზე...

— რა ამბავია ამ ფანი ეკეფნ! ყველაფერს რომ თავი დაგაბეზანთ, ბარგის ეონასს ეკეეეეი ანგარიში.

— ბოლოს და ბოლოს, ბარგის ეონასაც ჩვენ გადავიხდიდით!

ეუფენრი გამზადდა. სტუმარი გაისტუმრეზეს. ყველა კმაყოფილი დარჩა.

— ეეს, ძმაო, ჩვენ ჩვენი კი გავაკეთეთ, მაგრამ ეერთაპა მაინც ეერთაპაა. ნახე რა „ეენნი ბიეჩეა“ აწეკეა ჩვენს დირექტორს?!..

ეზრაელ ეორდანიანელი

გ ა ნ წ ი რ უ ლ ნ ი

ორნი ცხოვრობდნენ ოთახში. ერთი ნოეური იყო, ქერა, გამხდარი და აწეწილი, მეორე — მაგდერეანი, ჩია ტანისა. სიმუქენი ვერც ის დაატრაბახებდა.

ღიღლი, სადილ რომ გამოეეეეიან, ჩია მაგიდასთან დაინახა, ბეერის ნამეცდენს ეიტანდა. მან ეიცან მოიხედა, ამხანაგის დამშეეულ თვალეებს რომ ეაიწყდა, შეოცდა, ეელვის სისწრაფეთი გადაჰტა თავისი საწოლისა�და თავი საბანში ჩამალა.

ზამთარი იყო. ოთახში ციოდა. ორივეს ეზარეეოდა ადგომა და, თუმცა ეეეეიანთ, თავს იმინარეტდნენ. შიმშილობდან გულ-მუცელი ეეეეოდათ. ბოლოს ფუმანი ეეეორმა დაარღვია.

— რაღაც ეეეეეთო, — ეუსაეეეეეეა ამხანაგს, — რაკი ამდენი იყავი, ბარგს ჩაგეეეეა, ნაეეეეურა აგეეთო, ხომ ხედავ, როგორ ციეა? ჩაიდასაეე დადგამეთ. ხახამ ჩაი აღეეედეეთოდ, ბალეზიანი ეაიქეეედი, ეეეს, ბაეარაა და კარაეს ოყიდდი. არც ძეეეი გვაყეენდა. ბეერ ოთახსაც გამოვეეედი. ამხანაგში ეეე ადგეეეთოდი...

— ეეერ რომ ადეეე პირველად, ვითომ ეეეეი ეეეეეი ბოეეეეეა?

— ვითომაშეთი... ერთი ხელი. ვინც ეაადეეს, დღეს ის იყოს მორიგე.

— ეაგიეედი? მაგას არ ეაადეეეეეეთ ეეეეინ მოეეი ღღე?

— ერთი ხელი!..

ერთი? ერთი შეიძლება.

სწრაფად ეაბრიეეეეედნენ საწოლეეზიდან. ჩაეემა არც ეაახსენებიათ. ღაეეა ეამაეეეეს და ფიეეურები ღაეაეეეეს.

ეაეეიდა ერთი საათი. ეოტაეეე და ჩია რამდენიმე ძეეეეი ხელითი მიეწინააღმეეეეის მეეეე სამამათო მარეეეეეებში ბოაეეეა. ოსტატეეესაა მეეეეეეეეთოთ ამეეთი ეეეეეეეე

იურიდიული კონსულტაცია

კითხვა: ჩემი მეზობელი შუაღამემდე ტელევიზორს აყვირებს. ყვირილი ვერც დაბალმა ჭერმა მოგუდა, ვერც ბლოკიანმა კედელმა. ტელევიზორის გამომშვებ ქარხანას პრეტენზია რომ წავუყენო, ამ ბინიდან სხვა ბინაში გადამიყვანს?

პასუხი: კარგი იქნება, თუ შუაღამეზე შეაღებთ მეზობლის კარებს და მორიდებით მოახსენებთ, რომ სინდისი ტელევიზორზე ძვირფასი საქონელია.

კითხვა: ჩვენს სახლში თოთხმეტი ოჯახი ცხოვრობს. ცამეტს „ვოლგა" აქვს. ყოველი მათგანი ეზოდან რომ გადის და მერე შემოდის, საყვირს აყვირებს. აყვირებული მანქანის ხმაზე ყველა ცამეტის ცოლი თავთავიანთ აივანზე გადმოეკიდება ხოლმე და წიაქობს. ამას ვერ ვიტან. „ვოლგების" ქარხანას რომ მივმართო, ამ ჩემი ეზოს „ვოლგებს" სხვადასხვა ხმის საყვირებს ჩაუდგამს?

პასუხი: ამდენი სხვადასხვა ხმა ქარხანაში კი არა, ოპერაში არაა. თქვენ „ვოლგის" ნომრები გამოგვიგზავნეთ და ყოველ მათგანს საყვირში ბურთს ჩავჩრით.

კითხვა: ჩემი ტელეფონი ხანდახან მუშაობს. თუ შემიძლია ტელეფონის ქირაც ხანდახან გადავიხადო?

პასუხი: მაგ საკითხის გასარკვევად, პატივცემულო ამხანაგო, ატეესში ვრეკეთ, ვრეკეთ და ვერ დავუკავშირდით, რისთვისაც დიდ ბოდიშს გიხდით!

უცხოური იუმორი

ახალგაზრდობის გახსენება

ბუზი თავის ქალიშვილთან ერთად პან ფალჩიკის მელოტ თავზე დასეირნობდა.

— იცი, — სთქვა დედაბუზმა, —როცა მე შენხელა ვიყავი, აქ მხოლოდ ბოლოკი იყო.

ოცნება

— **რამდენი** შემოსავალი გინდათ გქონდეთ, რომ ბედნიერი იყოთ? — ჰკითხეს ბერნარდ შოუს.

— იმდენი, რამდენიც მაქვს ჩემი მეზობლების აზრით, — უპასუხა შოუმ.

ვოლტერის რეცეფნია

ერთმა ახალგაზრდა დრამატურგმა ვოლტერს თავისი პიესა წაუკითხა და პასუხის მოლოდინში გაირინდა.

— აი, რას გეტყვით, ყმაწვილო,— უთხრა მას ვოლტერმა დიდი ხნის პაუზის შემდეგ, — ასეთი ნაწარმოებების დაწერა თქვენ მაშინ შეგიძლიათ, როცა სახელს მოიხვეჭთ. მანამდე კი ამაზე უკეთ უნდა წეროთ!

გასაგები საუბარი

ჰამბურგის კაფეხანაში სამი მეგობარი საუბრობდა.

— ოჰ-ჰო-ჰო, — ამოიოხრა ერთმა.

— ეჰ-ჰე-ჰე, — აჰყვა მეორე.

— ბატონებო, — ჩაერია საუბარში მესამე, — ჩვენ ხომ შევთანხმდით, რომ პოლიტიკაზე არ ვილაპარაკებთ!

ხერხი

ვიეტნამის ომთან დაკავშირებით, ჯარში ბევრ ახალგაზრდას იწვევდნენ. მისტერ ბრაუნის შვილი კი სამჯერ გაათავისუფლეს ჯარში გაწვევიდან.

— როგორ ახერხებთ ამას? — ჰკითხეს მისტერ ბრაუნს.

— სულ უბრალოდ, — უპასუხა ბრაუნმა, — სამხედრო კომისარს ნიძლავს ვუდებ სამ ათას დოლარზე, რომ ჩემი შვილი ჯანმრთელია, მაგრამ, თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ყოველთვის ვაგებ.

თარგმნა **ვახტანგ ჟღენტმა**

— *რომელი ხარ მანდ?*
— *ფანტომასი!*
— *ფანტომასი კი არა, გიქტორასი ხარ, და თუ დაგიჭირე, ყურებს ამახევ!*

გულშემაჯკივარი გულშემაჯკივრად რჩება

როცა ჩემი საყვარელი ფეხბურთელთა გუნდი ზედიზედ მეხუთედ დამარცხდა, ლოგინად ჩავვარდი. ვეღარაფერი გადამარჩენდა, თვალსა და ხელს შუა ვდნებოდი.

და, აი, ერთ მშვენიერ დილას გარდავიცვალე. რას იზამ, ამან ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ყველანი მოკვდავნი ვართ.

დამთავრდა სევდიანი მზადება პანაშვიდისათვის და მე ჯალაბს წარვუდექი მთელი ჩემი სამგლოვიარო ბრწყინვალებით. ცხადია, სიცილისათვის არ მცხელოდა, მაგრამ კიდევ უფრო უარესი სხვა რამ იყო: შეხვედრების კალენდარი ზეპირად მახსოვდა და ვიცოდი, რომ დღეს, ჩემს პანაშვიდთან ერთად, უნდა დაწყებულიყო თამაში, მე კი არათუ ვერ ვნახავ მატჩს, შედეგსაც ვერ გავიგებ. მე ხომ მკვდარი ვარ!

ჯიბრზე, ჩვეულებისამებრ, კედლის საათიც გაიჩერებინათ და თერთმეტის ნახევარს უჩვენებდა. რა თქმა უნდა, შვიდი ჯერ არ იქნება, რადგან, ჯერ-ჯერობით, კაცები ბევრნი არიან, თუმცა ყველანი მოუსვენრად დასცქერიან საათებს.

ოჰო, კაცები თანდათან მიიპარებიან! ცხადია, ყველანი ძია ანდროსთან გაცვივდნენ. აქვე, დერეფანში, მას ხომ შესანიშნავი „რუბინი" აქვს.

აი, „ავე მარიაც" გაისმა. ახლა კი მოთმინება უნდა მოვიკრიბო და ველოდო. დარწმუნებული ვარ, ორმოცდახუთი წუთის შემდეგ, როგორც კი დამთავრდება პირველი ტაიმი, დაბრუნდებიან.

და...ჩუ! მგონი, მოდიან. პირველი ტაიმი დამთავრდა! თუ მხედველობაში მივიღებთ გულშემატკივართა ხმამაღლა ლაპარაკს... რაო? ვიღაცამ მხეცური დარტყმით... შეაგდო თუ ვერა? ცოტა ხმამაღლა, თქვე ოხრებო! მაგრამ ეს რაღაა? სამოცდათექვსმეტი წლის ბებია ქსენიდე ბენინვით წამოხტა და ტყვიასავით გავარდა დერეფანში.

— ოხ, თქვე უსინდისოებო, სირცხვილი არ იცით?! —მოესმა მისი გააფთრებული ჩურჩული, რომელიც, ალბათ, ჩვენი სახლის ოთხივე სართულმა გაიგონა, — პანაშვიდზე მოხვედით, თუ სტადიონზე?!

აბა, ვინ ეხვეწებოდა! წახდა საქმე! შერცხვენილი გულშემატკივრები აწრიალდნენ და თავს უშველეს გაქცევით. ახლა კი გათავდა! ვინღა გაბედავს, ასეთი დაწოკების შემდეგ, ფეხბურთზე კრინტის დაძვრას? ისეთი დარდი შემომაწვა, მინდოდა წამოვმდგარიყავი კუბოდან და მეთხოვა, თუ შეიძლება აქედან მიბრძანდით-მეთქი.

ბედად, ძირითადი დრო, ესე იგი, დრო პანაშვიდისა, ამოიწურა და გულს იმედი ჩამესახა: როცა მთლად მარტო დავრჩები, გამოვძვრები ამ ოხერი ვარდებიდან, გავყოფ თავს სარკმელში და ჯკითხავ გამვლელებს, როგორ დამთავრდა თამაში. ამ აზრით დამშვიდებული წყნარად ვიწექი და ველოდი.

სიჩუმეა. გაფრიალებული ფანჯრიდან მომესმის, როგორ იძინებს ქალაქი. ჩემი დეიდა-მამიდები დაიქანცნენ მოთქმით და მიყუჩდნენ. მგონი, დროა გამოვძვრე. მაგრამ ის-ის იყო წამოვიწიე და იატაკზე გადავუშვი ყვავილები, რომ კარმა გაიჭრიალა და შემოვიდნენ მეზობლები — ძია ანდრო და მიხა.

რა შემოსევაა? რა ჯანდაბამ შემორეკა ამ შუაღამისას? აჰა, აი, თურმე, რა ამბავია! დავიღუპე, დილამდე ისხღებიან, ღამე უნდა გამითიონ. ეტყობა, კბილები გავაკრაჭუნე გაგულისებულმა, რადგან ძია ანდრო მომვარდა და როცა იატაკზე მიმობნეული ვარდები დაინახა, მიხას მიუბრუნდა: „სულზე არ მოვუსწარით? ხედავ კატები ყოფილან, როგორ მიმოუყრიათ ყვავილები!" ისე მინდოდა ძია ანდროსათვის მეთქვა, შერლოკ ჰოლმსი ხართ-მეთქი, მაგრამ დუმილი ვარჩიე.

ჩემი მტანჯველები კარგად მოეწყვნენ ტახტზე და ახლაღა შევნიშნე, რომ ხელცარიელნი არ მოსულან: მოიტანეს ღვინო, კიტრი, პამიდორი, ცხელი ლავაში! ჭიქას ჭიქა მოჰყვა. მადიანად ილუკმეტიან, სასმისებს უჭახუნებენ, სულ მე მიგონებენ, ჩემს შესანდობარს სვამენ.

დავეღოდე მოხერხებულ მომენტს და ის-ის იყო მიხა ცრემლთაფრქვევას აპირებდა, რომ სხვათა შორის. ჩავილაპარაკე:

— კარგად კი ითამაშეს ჩვენებმა დღეს...

მიხა გაქავდა, ძია ანდრომ წამოიწია. მერე ორივემ გადმომხედა და სიჩუმეში აშკარად მომესმა ამ ვაკაცუნების ჟრუანტელის ხმა. ამასობაში ინათა. მოიტანეს ფოსტა და დერეფანში ვიღაც ხმამაღლა კითხულობდა სამძიმრის დეპეშებს. „მალე მაინც დამმარხონ", — გავიფიქრე ნაღვლიანად. კვლავ ღრღნიდა გაჩერებულ გულს დარდი: როგორ დამთავრდა მატჩი? და როცა კუბო გაჰქონდათ, სახეზე, ალბათ ისეთი ტანჯვა მეხატა, რომ მეეზოვეებმაც კი ვერ შეიკავეს ცრემლი და უცნაურად აქვითინდნენ.

...ესეც სასაფლაო. ყოველგვარი იმედი დავკარგე, რაიმე ინფორმაცია მიმეღო გუშინდელი ორთაბრძოლის შესახებ, რომ უეცრად შევნიშნე, როგორ მოიკვლევდა ხვნეშით გზას თაიგულით შეიარაღებული ჩემი თანაშრომელი კასანდოპულო. ყანის ზამბახები ძალიან მიყვარდა, კასანდოპულოც მიყვარდა (ოდესღაც მას მარცხენა გარემარბად უთამაშნია ლუდის ქარხნის გუნდში და დიდ მომავალსაც უწინასწარმეტყველებდნენ), მაგრამ ჩემი ყურადღება მიიპყრო გაზეთის ნაგლეჯმა, რომელშიც შეხვეული იყო ყვავილები. და როცა კასანდოპულო მოუხეშავად დაიხარა, რათა გულზე დაედო ყვავილები, ჩუმად ხელი ვტაცე ქაღალდს და მუშტში ჩავბღუჯე. ლუდის ქარხნის ყოფილ გარემარბს ელდა ეცა, მაგრამ კრინტის დაძვრა ვერ მოასწრო, ხალხმა უკანა რიგებში მიიმწყვდია... და აი, როგორც იქნა, მარტო დავრჩი. აკანკალებული ხელით ასანთი გავკარი, გავასწორე დაჭმუჭნილი ქაღალდის ნაგლეჯი და თვალებით ჩავაკვდი სტრიქონებს. აი... აქ... „სპორტის ამბები"... „წაგება საკუთარ მოედანზე..."

„ეს კი ნამეტანია! მგონი, დროზე მივიცვალე!" — გავიფიქრე შვებით და მარადიულ ძილს მივეცი თავი.

— ე, ადე, შე ძილისგუდა! — შემანჯღრია ვიღაცამ. — არა, ერთი უყურეთ, რა დამფრთხალი სიფათი აქვს! გეგონებათ, ძილში ბუამ შეაშინაო!

ტახტიდან წამოვხტი და გაოგნებული მივაშტერდი ახარხარებულ ძმაკაცებს.

— აბა, ჩქარა, დაგვაგვიანდება, ორმოცი წუთიღა დარჩა. პირზე წყალი შევისხი და სტადიონს მივაშურე. გაუმარჯოს ფეხბურთს!

ედუარდ გენაქეხაძე

ნიანგის ფოსტა

1968 22.XI

რედაქციაში შემოვიდა **გ. ლაბაძისა და თ. ბექიშვილის** მამხილებელი წერილი, რომელიც ეხებოდა კაფე **„ქართული ჩაის“** მებუფეტე **ს. ი. ვატაევას.** წერილი გადაეგზავნა თბილისის რესტორნებისა და კაფეების ტრესტს. ტრესტმა შეისწავლა კაფეს მუშაობა და მიიღო სათანადო ზომები. **ს. ი. ვატაევას** შესახებ კი ტრესტის დირექტორი ამხ. **გ. ი. ქარცივაძე** გვატყობინებს: **„დაწესებული საასორტიმენტო მინიმუმის და სანიტარული წესრიგის დაუცველობისათვის, უსაბუთო, უხარისხო კერძის და სარეალიზაციოდ უვარგისი პროდუქციის ქონებისათვის, სასწორის ხმარებისა და მაგარი სპირტიანი სასმელების გაყიდვის წესების დარღვევისათვის, მომსახურების დაბალი დონისა და მომხმარებელთა მიმართ უტაქტობის გამოვლინებისათვის კაფე „ქართული ჩაის“ № 2 ბუფეტის მებუფეტე ს. ი. ვატაევას მოხსნის საკითხი დაისვას ადგილკომის წინაშე“.**

„ნიანგი“ მოუთმენლად ელის ადგილკომის გადაწყვეტილებას!

რებუსი

კინოსტუდია „ქართული ფილმის“ თანამშრომლებმა „ნიანგს“ გამოუგზავნეს საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის მიერ გამოცემული თბილისის კინოსახლის მუშაობის გეგმა, რომლის ყდაზე საინტერესო რებუსია მოთავსებული. „ნიანგმა“ ბევრი იწვალა, მაგრამ მისი ამოხსნა ვერ შესძლო.

ძვირფასო მკითხველებო, უმორჩილესად გთხოვთ, დაგვეხმაროთ ამ რებუსის ამოხსნაში!

შერცხვენილი

შერცხვა ოჯახი. მერედა რა ოჯახი! დანა პირს არ უსსნიდათ. ფეხის წვერებზე დადიოდნენ ოთახიდან ოთახში, მიმიკით ელაპარაკებოდნენ ერთმანეთს და იმ ოთახისაკენ უთითებდნენ, სადაც კოხტა თინათინი დივანზე პირქვე დამხობილიყო...

მხრების ცახცახზე შეატყობდით, რომ დიდი უბედურება დატრიალებულიყო მის თავს.

— რატომ ვენდე, რატომ მოვიქეცი ასე უჭკუოდ, — ფიქრობდა თინათინი, — გამეცნო მაინც ხეირიანად. ერთი შეხედვით, კაცს ჰგავდა, ადამიანი მეგონა. ის კი უსინდისო და დაუნდობელი ყოფილა .მე, ვთქვათ, შევცდი, მაგრამ მამაჩემი? ამ ხნის კაცმა როგორ ვერ გაიგო, ვისთან ჰქონდა საქმე? ხომ გავახარე ლია და ნატა. სიხარულით გაგიჟდებიან ჩემს ამბავს რომ გაიგებენ. არა, წავალ, გადავიკარგები და ის იქნება!..

...თინათინი ფიქრებიდან გამოერკვა: ოთახში მამა შემოსულიყო. ქალიშვილს მხრები უფრო აუცახცახდა. მამა გვერდით მიუჯდა. თმებზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— კარგი, შვილო, თავს ნუ მოიკლავ მაგისთვის! გაისად ისეთ პროტექტორს გიშოვი, სულ უგამოცდოდ მოგაწყობს იმ დასაქცევ ინსტიტუტში!

ვილენ მარდალეიშვილი

ნახ. გ. ფირცხალავასი



— ნელა, კაცო! სასტუმრო ახალი აშენებულია, ესეც თან არ მიაყოლო!

მთავარი რედაქტორი **ნოდარ დუმბაძე**

სარედაქციო კოლეგია: ზ. გოლქვაძე (პ/მგ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, გ. ნიშნიანიძე, (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე.

სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“.



თბილისი, რუსთაველის პრ. № 42. ტელ. რედაქტორის 93-76-69, რედ. მოადგილის 93-49-32. საერთო განყოფილების 93-10-78

Тбилиси, Сатирико-юмористический журнал «Нианги». საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 19/XI 1968 წ. ქაღ. ზომა 70×108 1/8 1 ნაბ. ფურც. 1,4. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 1. პირობით ფორმათა რაოდ. 2. საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პ/კომბინატი. თბილისი, ლენინის ქ. № 14. შეკვ. № 4030. УЕ 02561. ტირაჟი 89.400.

ეროვნული ბიბლიოთეკა

КОНТРОЛЬНЫЕ ЭКЗЕМПЛЯРЫ

უცხოური



N 666
29.X 68



ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი ხანია ფრანკო ნატოს აგრესიულ ბლოკში შესვლას ცდილობს და ამ მიზნის მისაღწევად ყოველგვარ საშუალებას მიმართავს.

გაზეთებიდან

გონელი რევანშისტები ატომური ბომბის ხელში ჩაგდებით იმედოვნებენ თანამედროვე ევროპის რუკის გადაკეთებას.

გაზეთებიდან



გონელი გამომჭრელის ოცნება

ნატოს ფრანკისტული ხვრელი

ლათინური ქვეყნების ეკონომიკის „ასფიქსიებლად“ ამერიკის შეერთებული შტატების მიერ მოგონილი ეგზეთწოდებული „კოვშირი მხოლოდ პროგრესისათვის“ ამერიკელ მონოპოლისტთა შოგების წყაროდ იქცა.

გაზეთებიდან

კავშირი და შედეგი

ნახ. გ. ლომიძისა

ნიანგის უნივერსიტეტი